თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ცხენი და მგელი

დაბურული ტყის პირას, შემოდგომის ნაირფერი ყვავილებით მოჩითულ მდელოზე, წაბლა ცხენი ძოვდა. სოფელი აქედან ძლივს ჩანდა. მაგრამ ცხენს არც სოფლის სიშორე აფიქრებდა და არც უღრანი ტყის სიახლოვე აშინებდა. ისეთი მარდი ფეხები ჰქონდა, ზღაპრული ფრთოსანი რაში იმასთან მონაგონი იყო.

უცებ ნიავმა ყმუილის ხმა მოიტანა. ცხენმა ყურები ცქვიტა. გნიასი თანდათან მოახლოვდა. ტყიდან ენაგადმოგდებული მგელი გამოვარდა და პირდაპირ ცხენს მოაშურა. ცხენი შეკრთა და გვერდზე გახტა.

- ნუ გეშინია, არაფერს გერჩიო, - ქოშინით უთხრა მგელმა. - მტრები მომდევენ, გადამარჩინე და სამაგიერო ჩემზე იყოსო. - ვიცი, სახელი გატეხილი გვაქვს, მაგრამ მე სხვებს არა ვგავარ. თუ არ გჯერა, გამომცადე და ნახავო.

ცხენი ერთი პირობა შეყოყმანდა. მერე თავი დაიმშვიდა, ამ დაოსებულმა მგელმა რა უნდა მიყოსო და ზურგი მიუშვირა: შემახტი და გავიქცეთო.

მგელმაც არ დააყოვნა. წაბლა ქარივით გაქანდა და თვალის დახამხამებაში სამშვიდობოს გაიყვანა მგელი.

- პირდაპირ არ ვიცი, რით გცე პატივი, - უთხრა მგელმა ცხენს. - მე ტყიან ხევში მაქვს ბუნაგი, ხროვისაგან განდგომილი ვარ, მარტო ვცხოვრობ ოჯახით. თუ ოდესმე რამე გაგიჭირდეს, იქ მოდი. დანარჩენი მე ვიცი.

იმ წელს თოვლიანი ზამთარი დაიჭირა. ცხენის პატრონს თივა შემოაკლდა. წაბლას მგელი გაახსენდა და მისი ნახვა გადაწყვიტა. იმ ადგილს მიაკითხა, სადაც შემოდგომაზე რუხ მგელს გამოემშვიდობა და მჭახედ დაიჭიხვინა. წუთიც არ გასულა, ზემოდან ნაცნობი მგელი დაეშვა.

- გამარჯობა! რა გაგჭირვებია? - ჰკითხა მგელმა.

ცხენმა თავისი გასაჭირი უამბო.

მაშინ მგელი წაბლას იმ დაბურული ტევრისაკენ გაუძღვა, სადაც ბუნაგი ჰქონდა და უთხრა:

LIVEWORKSHEETS

- შენ აქ დამელოდე, მე კი გავიქცევი, იქნებ რამე მოგიხერხო.

მერე ძუ მგელს დაუბარა: ეს ჩემი მეგობარია და თვალი ადევნე, ბუზიც არავინ აუფრინოსო.

„ვითომ რა იქნება, ამ წაბლა ცხენს ყელი გამოვღადრო, მთელ კვირას ოჯახში გამოულეველი გვექნება ხორცი. ჩემი უგერგილო ხვადი ხომ კურდღლის შემომტანიც არ არის. ეს ერთი ხანია, სისხლისღვრას ვერ იტანს ვაჟბატონი. ძალადობა შეიძულა“, - გაიფიქრა ძუმ და ნახტომისთვის მოემზადა.

- რას სჩადი?! - ჰკითხა გაოგნებულმა წაბლამ.
- რასა და უნდა შეგჭამო!
- კი მაგრამ, თქვენში სტუმრის დანდობა არ იციან?!
- რა დროს დანდობაა! სისხლიანი ხორცი რა ხანია, არ მიგემნია, მე და ჩემს ლეკვებს შიმშილით კუჭი გვიხმება!

წაბლა ცხენმა თავის დასახსნელად ხერხს მიმართა. თავი მოისაწყლა და ძუ მგელს უთხრა:

- ვიდრე შემჭამდე, ერთი სიკეთე მაინც მიყავი: უკანა ფეხის ქაჩაჩში ეკალი მაქვს შერჭობილი და ის ამომიღე.
- კარგი, - დაეთანხმა ძუ. ცხენთან ახლოს მივიდა და ის იყო, პირი დააღო, რომ წაბლამ მთელი ძალით ჩასცხო წიხლი. მერე ისკუპა და გრიგალივით დაეშვა თავქვე.

საკმაო მანძილი რომ გაირბინა, გზაზე ნაცნობი მგელი შემოხვდა. ზურგზე თივის ბულული აეკიდა და ქოშინით მოჰქონდა.

- რად გამოქცეულხარ?! - გაუკვირდა მგელს.

წაბლამ ყველაფერი უამბო. განრისხებულმა ხვადმა ჯერ ყმუილით იჯერა გული, მერე ძუს წყევლა-კრულვა შეუთვალა და ცხენს უთხრა:

- შენ იქნებ არ დამიჯერო, მაგრამ, რა ვქნა, აღარ შემიძლია, ყელში ამომივიდა ეს მგლური, გაუტანელი, უმადური ცხოვრება! ბუნაგში დამბრუნებელი აღარ ვარ. თუ ძმა ხარ, წამიყვანე შენს პატრონთან. ბინას მაინც მივუხედავ.

წაბლა წინ წაუძღვა და სოფელში მიიყვანა.

ადამიანმა შეათვალიერა მგელი. იფიქრა, მართლა გამომადგებაო. ეზოს კუთხეში პატარა წნული ბინა გაუკეთა და ახალ მეგობარს სახელად ძაღლი უწოდა.

აი, მას შემდეგ ცხოვრობს ძაღლი ადამიანის გვერდით.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რატომ არ აშინებდა ცხენს უღრანი ტყის სიახლოვე?

ა) მარდი ფეხების იმედი ჰქონდა.
ბ) მეგობარი მგლის იმედი ჰქონდა.
გ) სოფლის სიახლოვის იმედი ჰქონდა.

2. „ზღაპრული ფრთოსანი რაში იმასთან მონაგონი იყო“ ნიშნავს:

ა) წაბლა ზღაპრულ რაშზე უკეთესი იყო.
ბ) წაბლა ზღაპრულ რაშს ვერ შეედრებოდა.
გ) წაბლა ზღაპრულ რაშს ძალიან ჰგავდა.

3. რომელ წინადადებაშია გამოყენებული ეპითეტი?

ა) „არც სოფლის სიშორე აფიქრებდა და არც უღრანი ტყის სიახლოვე აშინებდა“.
ბ) „თვალის დახამხამებაში სამშვიდობოს გაიყვანა მგელი“.
გ) „ნაირფერი ყვავილებით მოჩითულ მდელოზე წაბლა ცხენი ძოვდა“.

4. რომელ წინადადებაშია ფრაზეოლოგიური გამოთქმა?

ა) „ზემოდან ნაცნობი მგელი დაეშვა“.
ბ) „ზურგზე თივის ბულული აეკიდა“.
გ) „ცხენმა ყურები ცქვიტა“.

5. რით იყო უჩვეულო მგლის საქციელი?

ა) სულს ძლივს რომ ითქვამდა.
ბ) ტყიან ხევში რომ ჰქონდა ბუნაგი.
გ) ცხენს დახმარება რომ სთხოვა.

LIVEWORKSHEETS

6. რატომ იყო მგელი დაოსებული?

ა) მგლურ ცხოვრებას დაანება თავი, აღარ ნადირობდა.

ბ) ცოლი და შვილები ჰყავდა სარჩენი.

გ) ხროვისაგან განდგომილი ცხოვრობდა.

7. „პირდაპირ არ ვიცი, რით გცე პატივი, - უთხრა მგელმა ცხენს“. მგლის ამ სიტყვებიდან ჩანს:

ა) რომ ის გარემოებისგან დაბნეულია.

ბ) რომ ის მეტად თავშეკავებულია.

გ) რომ მას მადლიერების გრძნობა აქვს.

8. რით გადაუხადა მგელმა ცხენს სამაგიერო სიკეთისათვის?

ა) თოვლიან ზამთარში, როცა ცხენს საკვები შემოაკლდა, თივა მიუტანა.

ბ) ცხენთან ერთად გადაწყვიტა ადამიანთან ცხოვრება.

გ) ძუ მგელი დასაჯა ცხენისადმი გამოჩენილი ვერაგობის გამო.

9. „ჩემი უგერგილო ხვადი ხომ კურდღლის შემომტანიც არ არის... სისხლისღვრას ვერ იტანს ვაჟბატონი“, - გაიფიქრა ძუ მგელმა. მისი როგორი დამოკიდებულება ჩანს ქმრის მიმართ?

ა) ის დასცინის ქმარს, რომელმაც უარი თქვა ძალადობაზე.

ბ) ის პატივს სცემს ხვადი მგლის გადაწყვეტილებას.

გ) მას ეცოდება ხვადი, რომელიც ვეღარ ნადირობს.

10. როგორ დააღწია ცხენმა თავი განსაცდელს?

ა) მოთმინებით. ბ) მოხერხებულობით. გ) ფეხმარდობით.

11. რომელ წინადადებაშია გამოყენებული შედარება?

ა) „გრიგალივით დაეშვა თავქვე“.

ბ) „მაგრამ მე სხვებს არა ვგავარ“.

გ) „ნიავმა ყმუილის ხმა მოიტანა“.

LIVEWORKSHEETS

12. რის გამო განრისხდა ხვადი მგელი?

ა) სისხლს მოწყურებულმა ძუმ მისი თხოვნა რომ არ შეასრულა.

ბ) ცხენისთვის თივის ზურგით მოტანა რომ დასჭირდა.

გ) წაბლა ცხენი მას ბუნაგში რომ არ დაელოდა.

13. მგლურ ყოფაში ხვადისთვის ყველაზე მიუღებელი იყო:

ა) მადლიერების გრძნობის გარეშე ცხოვრება.

ბ) ტყიან ხევში ბუნაგში ცხოვრება.

გ) ხროვასთან ერთად შიშით ცხოვრება.

14. რა თვისება ჰქონდა მგელს ისეთი, რომელმაც ადამიანთან ურთიერთობა გაუადვილა?

ა) ერთგულება. ბ) მოხერხებულობა. გ) უგერგილობა.

15. რატომ აღარ უნდოდა ხვად მგელს ტყეში დაბრუნება?

ა) ეგონა, რომ ადამიანთან უზრუნველად იცხოვრებდა.

ბ) მობეზრდა ხროვისაგან განდგომილი ცხოვრება.

გ) ყელში ამოუვიდა მგლური, გაუტანელი, უმადური ცხოვრება.

LIVEWORKSHEETS

LIVEWORKSHEETS